ქალბატონ ლ. გ.-ეს
ქ. თბილისი, მ.-ის ქ. N20

რეკომენდაცია

შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის შესახებ

შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20[1] მუხლის და ,,დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

ქალბატონო ლ,

2015 წლის 6 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შემოსული სატელეფონო შეტყობინებით, აპარატისთვის ცნობილი გახდა, რომ მოქალაქე ლ. ბ.-ს, რომელიც ცხოვრობდა ნაქირავებ ბინაში მეუღლესთან და 3 არასრულწლოვან შვილთან ერთად, ბინის მესაკუთრე სთხოვდა სახლის დატოვებას.

შემოსულ შეტყობინებაზე რეაგირების მიზნით, 2015 წლის 6 ოქტომბერს, სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები, იმყოფებოდნენ მითითებულ მისამართზე და გამოკითხეს მონაწილე პირები. ამასთანავე, მიმდინარე წლის 16 ოქტომბერს დამატებით გამოკითხეს ლ. ბ.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისგან და ნაძალადევის რაიონის გამგეობისგან.

1. **ფაქტობრივი გარემოებები**

ლ. ბ.-ს (შემდგომში „განმცხადებელი“) ჰყავს მეუღლე და სამი შვილი (9 წლის ნ., 7 წლის გ., რომელიც აუტისტური სპექტრის მქონეა და 2 თვის ნ.). 2015 წლის 30 სექტემბერს მასა და ლ. გ.-ს (შემდგომში „მესაკუთრე“) შორის გაფორმდა ქირავნობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, მესაკუთრემ განმცხადებელს 300 ლარის სანაცვლოდ მიაქირავა მის საკუთრებაში არსებული 23 კვ მეტრის ოდენობის ფართი, რომელიც მდებარეობს ქალაქ თბილისში, მ.-ის ქ, N0.

განმცხადებელი აღნიშნავს, რომ ქირავნობის ხელშეკრულების გაფორმებისას მან მესაკუთრეს უთხრა რომ ჰყავს 3 შვილი, რომელთაგან ერთ-ერთი არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი და მიაწოდა ინფორმაცია რომ სახელმწიფო დახმარების სახით უხდიდა თანხას. მესაკუთრე დათანხმდა მასთან ქირავნობის ხელშეკრულების გაფორმებას და 1 ოქტომბერს მეუღლესა და შვილებთან ერთად გადავიდა საცხოვრებლად დაქირავებულ ფართში. გ.-მ, რომელსაც აქვს აუტისტური სპექტრი, ღამით იტირა და ამის თაობაზე დილას მესაკუთრეს პრეტენზია არ დაუფიქსირებია. მეორე ღამით 5 წუთით იტირა გ.-მ და შემდეგ ტაშს უკრავდა, რადგან ასე წყნარდება. 3 ოქტომბერს დილას მივიდა მესაკუთრე და განმცხადებელს უთხრა, „ბავშვის ტირილის მოსმენა არ მინდა. მოგცემ თანხას და დამიცალე დღესვე ბინა“. მან ასევე დაამატა - „ათასი რამე არსებობს და რატომ არ გაიკეთე გენეტიკური ანალიზი ესეთი ბავშვი რომ გააჩინე ან რატომ არ გააშვილე? სამშობიაროში ტოვებენ ასეთ ბავშვებს, როგორც წესი“. განმცხადებელმა დახმარება მის ერთ-ერთ მეგობარს სთხოვა, რომელმაც თავის მხრივ სახალხო დამცველს, ტელევიზიას და არასამთავრობო ორგანიზაციას მიმართა. 2015 წლის 6 ოქტომბერს განმცხადებელთან მივიდნენ სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები და პირველი არხის ჟურნალისტი და ოპერატორი. მესაკუთრემ, როდესაც ისინი დაინახა, აგრესიული გახდა, რის გამოც გამოიძახეს პატრული. პატრულის მოსვლის შემდეგ ის და მესაკუთრე შეთანხმდნენ, რომ ვინაიდან თანხა ჰქონდა გადახდილი ოქტომბრის ბოლომდე, შეეძლო ამ დრომდე იქ დარჩენილიყო. ცოტა ხნის მერე განმცხადებელთან მივიდა მესაკუთრის შვილი მ., უთხრა რომ დედამისს მათ დანახვაზე წნევა უწევდა და სახლში ღამესაც კი არ გაათევინებდა. ის ყოველ ხუთ წუთში ოთახში შემორბოდა და ყვიროდა წადითო. ამაზე გ.-ი აღელდა და თვითდაზიანებების მიყენება დაიწყო (თავში ხელებს ირტყამდა), ასევე ტირილი დაიწყო ნ.-მაც. პატრული კიდევ ერთხელ გამოიძახეს. ღამის 12 საათზე მესაკუთრემ მისი ოჯახი სახლიდან გამოაგდო. მესაკუთრემ ბარგი მხოლოდ სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლის ჩარევის შემდეგ დაიტოვა.

2015 წლის 6 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები საქმის დეტალების შესწავლის მიზნით, იმყოფებოდნენ განმცხადებელთან ქალაქ თბილისში, მ.-ის ქ. N0-ში და გამოკითხეს განმცხადებელი. გამოკითხვის დროს მოვიდნენ პირველი არხის ჟურნალისტი და ოპერატორი. როდესაც მესაკუთრემ შეიტყო, რომ მიმდინარეობდა განმცხადებლის გამოკითხვა, შევიდა მასთან და იკითხა, თუ რატომ იმყოფებოდნენ სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები. აპარატის წარმომადგენლებმა შესთავაზეს მესაკუთრეს გამოკითხვა და მისი პოზიციის დაფიქსირება, თუმცა მან აღნიშნულზე

კატეგორიული უარი განაცხადა და მოგვიანებით თავისი ხელით დაწერა განმარტება. აპარატის წარმომადგენლები უშუალოდ გახდნენ მოწმეები, თუ როგორ განცხადებებს აკეთებდა მესაკუთრე განმცხადებელზე: „ღამე არ გაათიოს აქ, მორჩა და გათავდა!“ (აგრესიული ტონით); „ჩუმჩუმელა ეგ, არავინ არ უნდა შეიცოდო თურმე, აფერისტები ეგენი, **გამოექცევიან სოფელს,** წადით ერთი სოფელში მაგნაირი **ავადმყოფები** რამდენს **უყრიათ**, სამ-სამი უყრიათ და არ მოდიან აქ“; „მე მიქმნის პრობლემას ეხლა რათ მინდა **ასეთი ავადმყოფი** და იმიანი ბავშვი, ეზოში აგერ **ცეცხლი გამიჩინოს** ის გამიჩინოს“; „ვერსად ვერ გავდივარ იმის გამო რომ არაფერი გააფუჭოს“; **„გადმოსვლის დღიდან ვუთხარი წადითქო რაც მე დავინახე ეს მდგომარობა, რომ მოიყვანა ეს ბავშვი და ჩემთვის არ გაუმხელია როგორი პიროვნება იყო ეს ბავშვი**“. აპარატის წარმომადგენლებმა იქ განვითარებული მოვლენები ასახეს ოქმში. ასევე, 6 ოქტომბრის საღამოს მესაკუთრის შვილმა რამდენჯერმე დაურეკა სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელს და მოსთხოვა, რომ განმცხადებელს და მის ოჯახს დაუყოვნებლივ დაეტოვებინათ მათი სახლი. 6 ოქტომბრის ღამეს, როდესაც განმცხადებლის და მისი ოჯახის მიერ მოხდა დაქირავებული ფართის დატოვება ადგილზე იმყოფებოდნენ აპარატის წარმომადგენლები.

მესაკუთრემ თავისი ხელით დაწერილ განმარტებაში აღნიშნა, რომ „**ბავშვი არის ნერვული ავადმყოფი. როდესაც შევნიშნე სამი დღის შემდეგ ვთხოვე დაეტოვებინა ჩემი ბინა. დღესვე რომ იშოვოს საცხოვრებელი, დღესვე დავუბრუნებ თავის მოცემულ თანხას“.**

2. სამართლებრივი შეფასება

2.1. ზოგადი დებულებები

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის შესაბამისად, ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა.

იმავე კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას ამ კანონის პირველი

მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

იმავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ირიბი დისკრიმინაცია არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა პირს ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

დასახელებული მუხლების შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც პირს ხელი ეშლება ***საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობისას, არსებობს განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ პირობებში მყოფი პირების მიმართ,*** არ არსებობს ***კანონით განსაზღვრული მიზანი,*** განსხვავებულ მოპყრობას არ აქვს ***ობიექტური და გონივრული გამართლება*** და იგი ***დასახული მიზნის არათანაზომიერია.***

იგივე პრინციპი გამომდინარეობს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდანაც. ევროპული სასამართლოს განმარტებით, იმისათვის, რომ საკითხი მოექცეს კონვენციის მე-14 მუხლის ქვეშ, აუცილებელია, რომ ***განსხვავებული მოპყრობა არსებობდეს ანალოგიურ ან მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების მიმართ.*** განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციულია თუ მას ***არა აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება,*** ე.ი. ***არ ისახავს კანონიერ მიზანს*** და

არ არსებობს ***პროპორციულობის გონივრული კავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზანს შორის.***[1]

2.2. კანონით გათვალისწინებული უფლებები რომელთა სარგებლობისას ადგილი ჰქონდა განსხვავებულ მოპყრობას

მოპასუხის მიერ განმცხადებლისთვის ვადაზე ადრე ქირავნობის ხელშეკრულების მოშლა ბავშვის შესაძლებლობის შეზღუდვის გამო, აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვისადმი ღირსებისშემლახველი სიტყვებით მიმართვა, განმცხადებლის ოჯახის იძულება დაეტოვებინა საცხოვრებელი სახლი ღამით დაკავშირებულია განმცხადებლისა და მისი ოჯახის მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით, საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 531-ე მუხლით დაცული უფლებებით სარგებლობასთან.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად, ყველას აქვს უფლება პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმოწერას.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ პირადი ცხოვრება მოიცავს ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და მორალურ ერთობას[2] – პირის ფიზიკური და სოციალური იდენტობის „მრავალმხრივი ასპექტების“ გათვალისწინებით.[3] **პირადი ცხოვრების უფლება, მოიცავს პიროვნების ფსიქოლოგიურ ხელშეუხებლობას და სახელმწიფოს აქვს ვალდებულება დაიცვას ადამიანის მორალური ხელშეუხებლობა სხვა ფიზიკური პირების ქმედებებისგან.**[4] მე-8 მუხლის კონტექსტში, სახელმწიფოს აქვს პოზიტიური ვალდებულება უზრუნველყოს პიროვნების ღისრებისადმი პატივისცემა და მათ ღისრეულ პირობებში ცხოვრება.[5]

მე-8 მუხლის მიზნებისათვის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა სახლი, რომელიც წარმოადგენს სოციალურ საცხოვრისს და რომელიც პირებს დაკავებული აქვთ,

---

[1] Eweida and others v. United Kingdom, app. nos: 48420/10, 59842/10, 51671/10, 36516/10, 15/01/2013, § 87-88; Burden v. United Kingdom, app. nos: 13378/05, 29/04/2008, 29/04/2008, § 60;

[2] X and Y v. Netherlands, app. no. 8978/80, 26/3/85, § 22; Sandra Jankovićv. Croatia, app. no. 38478/05, 5/3/2009, §§ 31, 45;

[3] Dadouch v. Malta, app. no. 38816/07, 20/7/10, § 47;

[4] Đorđević v. Croatia, app. no. 41526/10, 24/10/2012, § 152;

[5] L. v. Lithuania, app. no. 27527/03, 31/03/2008, § 56;

თუნდაც ადგილობრივი კანონის მიხედვით ცხოვრების უფლებას ვადა ჰქონდეს გასული.[6] პირის ცხოვრების პირობები ექცევა პირადი ოჯახური ცხოვრებისა და საცხოვრებლის ტერმინის ქვეშ კუმულაციურად.[7]

იმავე პრინციპს ეყრდნობა საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლი, რომლის თანახმად პირადი ცხოვრება თავისუფლების კონცეფციის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ეს არის პიროვნების უფლება მისი შეხედულებით ჩამოაყალიბოს და განავითაროს ურთიერთობები სხვა ადამიანებთან, განსაზღვროს საკუთარი ადგილი, დამოკიდებულება და კავშირი გარე სამყაროსთან. პირადი ცხოვრების უფლება არის თითოეული ინდივიდის დამოუკიდებელი განვითარების საფუძველი.[8] პირადი ცხოვრების თავისუფლების ფარგლებში იგულისხმება ინდივიდის ფიზიკური და სოციალური იდენტობის, ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სახელის, ინტიმური ცხოვრების ხელშეუვალობა, ასევე პირის უფლება დაამყაროს და განავითაროს ურთიერთობა ადამიანებთან და გარე სამყაროსთან და სხვა.[9]

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მთავარი ღირებულება არის ადამიანი როგორც თვითმყოფადი, თავისუფალი და სხვა ადამიანების თანასწორი სუბიექტი.[10]

პატივი და ღირსება ადამიანის სოციალური იდენტობის არსებითი ატრიბუტებია, რომლებიც განსაზღვრავს ადამიანის მორალურ მდგომარეობას მის გარშემო მყოფ საზოგადოებაში.[11] პატივისა და ღირსების შემლახავია მოპყრობა, რომელიც მსხვერპლს აღუძრავს შიშს, ძლიერ ტკივილს, დამცირების ან დაქვემდებარების შეგრძნებას ან ისეთი ქმედება, რომელიც ახდენს პირის ფიზიკურ ან მორალურ გატეხვას და აიძულებს მას, რომ მოიქცეს საკუთარი შეგნების საწინააღმდეგოდ.[12] სახელმწიფო ვალდებულია, არა მხოლოდ თავი შეიკავოს პირის მიმართ არაჰუმანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისაგან, არამედ უზრუნველყოს ამ

---

[6] McCann v. the United Kingdom, app. no. 19009/04, 13/08/2008, § 46;
[7] Moldovan and others v. Romania (no. 2). app. nos. 41138/98, 64320/01, 30/11/2005, § 105;
[8] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის #1/2/458 განჩინება, II.პ.4;
[9] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის #1/2/458 განჩინება, II.პ.5;
[10] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის #2/2/389 გადაწყვეტილება, II-30;
[11] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის N1/2/384 გადაწყვეტილება, II-5;
[12] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება №2/4/532,533, II-181;

უფლების დაცვა მესამე პირთა ჩარევისაგან.[13] შესაძლებლობის შეზღუდვის გამო პიროვნების დისკრიმინაცია არის ადამიანის თანდაყოლილი და განუყოფელი ღირსების დარღვევა.[14]

ამას გარდა, საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან დგინდება, რომ მესაკუთრესა და განმცხადებელს შორის გაფორმდა ქირავნობის ხელშეკრულება და განმცხადებელმა გადაიხადა შეთანხმებული ქირის საფასური. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 531-ე მუხლის თანახმად, ქირავნობის ხელშეკრულებით განმცხადებელს მიენიჭა უძრავი ქონებით სარგებლობისა და მისი ფლობის უფლება.

2.3. *ლეგიტიმური მიზანი და არათანაბარი მოპყრობის ობიექტური და გონივრული დასაბუთებულობის საკითხი*

საკუთრების უფლება საქართველოს კანონმდებლობით და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გარანტირებული უფლებაა, თუმცა აღნიშნული უფლება არ არის აბსოლუტური უფლება და შეზღუდვებს ექვემდებარება.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, მესაკუთრის უფლების შეზღუდვა, შეწყვიტოს ხელშეკრულება, წარმოადგენს კონვენციის პირველი დამატებითი ოქმით გათვალისწინებულ სახელმწიფოს უფლებას.[15] კონვენციიდან არ გამომდინარეობს მესაკუთრის უფლება, ვადაზე ადრე, სურვილის მიხედვით და ნებისმიერ გარემოებაში შეწყვიტოს ქირავნობის ხელშეკრულება.[16]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლი აღიარებს ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპს და უთითებს, რომ კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. იმავე კოდექსის 557-ე და 561-ე მუხლები აწესრიგებს ხელშეკრულების მოშლის პრინციპს, კერძოდ 561-ე მუხლის შესაბამისად ქირავნობის ხელშეკრულების მოშლის ვადა შეადგენს სამ თვეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საქმის გარემოებებიდან ან მხარეთა შეთანხმებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. 557-ე მუხლის შესაბამისად გამქირავებელს შეუძლია

---

[13] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება №2/4/532,533, II-182;

[14] შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენცია, პრეამბულა, h ქვეპუნქტი;

[15] Bittó and Others v. Slovakia, app. no. 30255/09, 28/01/2014, § 101; Amato Gauci v. Malta, app. no. 47045/06, 15/10/2009, § 52;

[16] Velosa barreto v. Portugal, app. no. 18072/91, 21/11/1995, § 24;

ხელშეკრულება მოშალოს ვადამდე, თუ დამქირავებელი, გამქირავებლის გაფრთხილების მიუხედავად, გაქირავებულ ნივთს მნიშვნელოვნად აზიანებს ან ქმნის მნიშვნელოვანი დაზიანების რეალურ საშიშროებას.

აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ სამოქალაქო კოდექსი გამქირავებელს არ აძლევს ხელშეკრულების მოშლის აბსოლუტურ უფლებას.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად ამ კანონის მოქმედება ვრცელდება საჯარო დაწესებულებების, ორგანიზაციების, ფიზიკური და იურიდიული პირების ქმედებებზე ყველა სფეროში. შესაბამისად, ამ კანონით გათვალისწინებული დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი ასევე ვრცელდება ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტაზეც.

2015 წლის 30 სექტემბერს მესაკუთრესა და განმცხადებელს შორის დაიდო ქირავნობის ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულება არ ითვალისწინებს მოშლის სპეციალურ ვადებს და პირობებს, შესაბამისად მოქმედებს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დებულებები.

სახალხო დამცველმა უნდა შეაფასოს მოხდა თუ არა მესაკუთრის მიერ ქირავნობის ხელშეკრულების ვადამდე მოშლა განმცხადებლის შვილის შესაძლებლობის შეზღუდვის გამო თუ იგი იყო გამართლებული 557-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებებით.

შეფასების დროს, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის გარემოება, რომ მესაკუთრემ განმცხადებლის ოჯახს არ მისცა დრო ახალი ბინის მოსაძებნად და აიძულა 6 ოქტომბრის ღამესვე დაეტოვებინათ დაქირავებული ფართი.

მესაკუთრემ თავისი ხელით დაწერილ განმარტებაში აღნიშნა, რომ როდესაც მან შენიშნა, ბავშვი ნერვული ავადმყოფი იყო, განმცხადებელს სთხოვა დაეცალა ბინა. სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები თავად გახდნენ მოწმენი, როდესაც ჟურნალისტის კითხვაზე მესაკუთრემ უპასუხა, რომ გადმოსვლის დღიდან რაც ლ. ბ.-მ ბავშვი მოიყვანა ისე, რომ არ გაუმხელია ბავშვის მდგომარეობის თაობაზე, მას უნდოდა, რომ ლ. ბ.-ს და მის ოჯახს ბინა დაეცალათ. აპარატის წარმომადგენლები ასევე გახდნენ მოწმენი, თუ როგორი შეურაცმყოფელი სიტყვებით ხდებოდა ბავშვის მოხსენიება და ასევე იმის ხაზგასმა, რომ ბავშვი იყო მისთვის არასასურველი, ვინაიდან იგი აუტისტური სპექტრის მქონეა.

მესაკუთრე გამოთქვამდა შიშს, რომ ბავშვს შესაძლოა ეზოსთვის ცეცხლი წაეკიდებინა, თუმცა მას არ მიუთითებია, რომ ბავშვს ჰქონდა ეზოში ან სახლში რამის

დაზიანების ან ცეცხლის წაკიდების მცდელობა. აღნიშნული გარემოება მის მიერ ნახსენები იყო სტერეოტიპულ კონტექსტში, რომ აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვი აუცილებლად დააშავებს რამეს. ასევე, მესაკუთრის მიერ ნახსენები იქნა ბავშვის ტირილი, რაზეც განმცხადებელმა აღნიშნა, რომ ახალ საცხოვრებელ ადგილას გადასვლასთან დაკავშირებით იტირა გ.იმ პირველ დღეს, ხოლო მეორე და მესამე დღეს უკვე აღარ ტიროდა. ნებისმიერ შემთხვევაში, მესაკუთრეს არ უთქვამს, რომ ბავშვის ტირილზე ან არ ტირილზე იყო დამოკიდებული სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელება. იგი ბავშვის შესაძლებლობის შეზღუდვას უსვამდა ყოველთვის ხაზს და მას დამამცირებელი სიტყვებით მოიხსენიებდა.

აღსანიშნავია, რომ შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე ბავშვები საზოგადოებისგან დღემდე გარიყულები არიან, თუმცა ბარიერს მათი შეზღუდული შესაძლებლობა კი არა, არამედ სოციალური, კულტურული, დამოკიდებულების და ფსიქოლოგიური ასპექტების ერთობლიობა წარმოადგენს.[17]

სახალხო დამცველი მის ხელთ არსებული მტკიცებულებების ობიექტური შეფასების შედეგად, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მესაკუთრის მიერ ქირავნობის ხელშეკრულების მოშლის რეალური მიზეზი ბავშვის შესაძლებლობის შეზღუდვა იყო და არა ნივთის მნიშვნელოვანი დაზიანება ან მნიშვნელოვანი დაზიანების რეალური საშიშროება.

შესაბამისად, სწორედ განმცხადებლის შვილის შესაძლებლობის შეზღუდვა გახდა ხელშეკრულების შეწყვეტის და განმცხადებლის ოჯახის მიმართ განსხვავებული მოპყრობის საფუძველი.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ამ მუხლით განსაზღვრულ პირობებში დისკრიმინაცია არსებობს მიუხედავად იმისა, პირს რეალურად აქვს თუ არა ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული ნიშანი, რომლის გამოც მის მიმართ დისკრიმინაციული ქმედება განხორციელდა.

ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, როდესაც პირს, რომელიც თავად არ არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, ეპყრობიან ნაკლებ სახარბიელოდ ვიდრე მის თანაბარ მდგომარეობაში მყოფ პირებს და ეს არასახარბიელო მოპყრობა განპირობებულია იმით, რომ მისი შვილი არის

[17] Committee on the rights of the child, forty-third session, 11 – 29 September 2006, General Comment No. 9 (2006), § 5;

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, ეს წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით პირდაპირ დისკრიმინაციას.[18]

აღნიშნული განსხვავებული მოპყრობა კი მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლება კანონიერად, თუ არსებობს ლეგიტიმური მიზანი, მას აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და იგი დასახული მიზნის თანაზომიერია.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ქირავნობის ხელშეკრულების მოშლა იმ მოტივით, რომ ბავშვი არის აუტისტური სპექტრის მქონე, მესაკუთრეს არ სურს ბავშვმა მის მიერ გაქირავებულ სახლში იცხოვროს, ასევე ის მცდარი და სტერეოტიპული შეხედულება რომ აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვი აუცილებლად რამეს დააზიანებს ან/და დააშავებს ვერ ჩაითვლება განსხვავებული მოპყრობის ლეგიტიმურ მიზნად. ლეგიტიმური მიზნის არარსებობის პირობებში კი, განსხვავებული მოპყრობა ვერ იქნება მიჩნეული გამართლებულად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა დაადგინა, რომ ლ. გ.-მ ჩაიდინა პირდაპირი დისკრიმინაცია ლ. ბ.-ის და მისი ოჯახის წევრების მიმართ შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით.

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20[1] მუხლით და ,,დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს ლ. გ.-ს ქირავნობიდან გამომდინარე სახელშეკრულებო ურთიერთობებში თავი შეიკავოს ნებისმიერი სავარაუდო ნიშნის გამო დისკრიმინაციული მოპყრობისაგან.

პატივისცემით,

[18] ECJ, Coleman v. Attridge Law and Steve Law, Case C-303/06 [2008];